



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი

CENTRE FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

№ 2-291

08.08.2012

საერთაშორისო კორპორაცია აი-სი-არ-ის დირექტორს

ქ-ნ ნანი ანდიაშვილს

მოგმართავთ თქვენი ა.წ. 25.07.2012 #486 წერილის პასუხად.

განვმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის მიხედვით გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ნივთობრივად უნაკლო ნივთი გადასცეს. ამავე კოდექსის 488-ე მუხლის მიხედვით კი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა, ხოლო თუ ხარისხი შეთანხმებული არ არის, _ ნივთი ვარგისი უნდა იყოს ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

შეგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში მომხმარებელი ფეხსაცმლის შექმნამდე საგანგებოდ დაინტერესდა მისი ხარისხით. გამყიდველმა იგი დაარწმუნა, რომ ფეხსაცმელი კარგი ხარისხის იყო. გამომდინარე იქედან, რომ „ბატა“ უკვე არა ერთი წელია იმყოფება საქართველოს ბაზარზე და თბილისში კარგად ცნობილ ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელს წარმოადგენს და, გარდა ამისა, თავად ის მომხმარებელი, ვისაც ჩვენს სტატიაში აღწერილი ისტორია გადახდა, ამ მაღაზიის რეგულარული კლიენტი იყო, მას ბუნებრივად ჩამოყალიბებული ჰქონდა წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ „ბატას“ ფეხსაცმლის „კარგი ხარისხი“ ნიშნავს მის გამძლეობას 1-2 წლის განმავლობაში. უფრო მეტიც, მომხმარებლის დაინტერესება აღნიშნული ფეხსაცმლის შექმნით მნიშვნელოვნად განპირობებული იყო იმით, რომ ფეხსაცმელი მაღაზია „ბატაში“ იყიდება, ვინაიდან ეს გარემოება მომხმარებელს პროდუქციის ხარისხის (და გამძლეობის) გარანტიად მიაჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში აღწერილი ფეხსაცმელი წარმოადგენს ე.წ. „ბოტასის“ ტიპის ფეხსაცმელს. ასეთი ტიპის ფეხსაცმლის ჩვეულებრივი სარგებლობა მოიცავს მის გამოყენებას სხვადასხვა ტიპის სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობისას. ფეხსაცმლის შექმნისას მომხმარებელს არ მიუღია არც წერილობითი და არც ზეპირი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ფეხსაცმელი ასეთი ტიპის ფეხსაცმლის ჩვეულებრივი გამოყენებისთვის ვარგისი არ იყო.

ამდენად, ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო, მომხმარებელს კანონიერად წარმოეშვა მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შექმნილი ფეხსაცმელი გამოსადეგი იყო სამოყვარულო ტიპის სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებისთვის და იგი ასეთ მოხმარებას 1-2 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოფდეს.

ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge <http://www.csrdg.ge>

5th Delisi 1st Lane., 0177 Tbilisi / Georgia

Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge <http://www.csrdg.ge>

განმავლობაში გაუძლებდა. თუმცა რეალობამ აჩვენა, რომ მომხმარებლის შვილის მიერ 2 კვირის განმავლობაში გამოყენების შედეგად ფეხსაცმელი იმდენად გაიცვითა, რომ მოხმარებისთვის გამოუღებარი გახდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენს სტატიაში, რომელშიც აღნიშნული შემთხვევა აღწერილი, ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას პროდუქტის არასათანადო ხარისხზე, ანუ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგიით - მის ნაკლზე. მაშინ, როდესაც მაღაზიაში გამოკრულ განცხადებაში მითითებულია, რომ მაღაზია ვალდებულებას იღებს გამოცვალოს საქონელი შეძენიდან 14 დღეში ე.წ. „ქახული წუნის“ აღმოჩენის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობით „წუნი“ პროდუქციის არა შეუსაბამო ხარისხის, არამედ არასათანადო უსაფრთხოების მაჩვენებელია. კერძოდ, „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით წუნდებული პროდუქტი ნიშნავს პროდუქტს, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი:

- ა) პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით;
- ბ) ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში;
- გ) იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა;

ხოლო აღნიშნული კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით კი მწარმოებელი/დისტრიბუტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტია განთავსდეს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებულ პროდუქტზე ამ პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში გრძელდება (და არა 14 დღის განმავლობაში, როგორც მომხმარებელს თქვენს მაღაზიაში გამოკრულ განცხადებიდან შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას), თუმცა იგი არა პროდუქციის გამოცვლას, არამედ მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს.

გვინდა კვლავ ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ, როგორც ეს ჩვენი სტატიიდანაც ჩანს, აღნიშნულ შემთხვევაში მომხმარებლის პრეტენზია ეხებოდა არა პროდუქციის არასაკმარის უსაფრთხოებას (საქართველოს კანონმდებლობით, - წუნს), არამედ პროდუქციის არასათანადო ხარისხს (საქართველოს კანონმდებლობით, - ნაკლს) და მომხმარებლის კანონმდებლობით დადგენილ უფლებებს მასთან დაკავშირებით.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი უნაკლო ნივთით. იმავე კოდექსის 491 მუხლის მიხედვით კი ნივთის ნაკლის გამო მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა, გამყიდველმა კი უნდა აუნაზღაუროს მას გაწეული დანახარჯები. სტატიაში აღწერილ შემთხვევაში მომხმარებელი სწორედ ნაკლის მქონე (ანუ არასათანადო ხარისხის) ნივთის უნაკლოთი (ანუ სათანადო ხარისხის მქონეთი) შეცვლას, ან ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლასა და გადახდილი თანხის

უკან დაბრუნებას ითხოვდა. თუმცა მაღაზიამ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ საბაზით, რომ ეს კონკრეტული ფეხსაცმელი რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენდა (მაღაზიის ტერმინოლოგიით - „ქარხნული წყონი“ არ ჰქონდა) და მისი სწრაფი ცვლადი ინტენსიური მოხმარების ბრალი იყო. საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, მაღაზიის ამგვარი პასუხი ამავე დროს ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ საკამათო ფეხსაცმელი მაღაზიას სათანადო ხარისხის პროდუქციად მიაჩნია, ხოლო მომხმარებელთა მოლოდინი მისი პროდუქციის გამძლეობის თაობაზე - გადამეტებულად. ჩვენ სრულად გავიზიარეთ მაღაზიის ეს არგუმენტები და სწორედ მათ საფუძველზე, სტატიით განვუმარტეთ მომხმარებლებს, რომ „ბატაში“ ნაყიდი ამ ტიპის ფეხსაცმელი, ინტენსიური მოხმარების შემთხვევაში, 2 კვირაში შეიძლება გაცვდეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ მივესალმებით საერთაშორისო კორპორაცია აი-სი-არ-ის ინიციატივას, მომხმარებლის პრეტენზიის შესაძლო დაკმაყოფილების მიზნით, ზემოთ მოხსენიებული ფეხსაცმლის ექსპერტიზის თაობაზე და ვიღებთ პასუხისმგებლობას ვიშუამდგომლოთ აღწერილ მომხმარებელთან ასეთი ექსპერტიზისთვის მის მიერ შეძენილი ფეხსაცმლის წარდგენის თაობაზე. თუმცა, მომხმარებლის ინტერესებისა და მისი პრეტენზიის შინაარსის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ექსპერტიზისადმი დასმული უნდა იყოს შემდეგი შეკითხვები:

1. შეესაბამება თუ არა საპრეტენზიო ფეხსაცმლის ხარისხი (განსაკუთრებით ფეხსაცმლის ძირი) 60-70 ლარის ღირებულების ფეხსაცმლის საშუალო ხარისხს „ბატას“ ტიპის მაღაზიაში;
2. განიცადა თუ არა აღნიშნულმა ფეხსაცმელმა ხმარების განმავლობაში რაიმე იმგვარი ექსტრემალური ზემოქმედება, რომელიც „ბოტასის“ ტიპის ფეხსაცმლის ჩვეულებრივი სარგებლობის ფარგლებს სცდება.

ჩვენი მხრიდან ვალდებულებას ვიღებთ ექსპერტიზის პასუხი, ისევე როგორც თქვენს მიერ მოწოდებული და საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია უცვლელი სახით გამოქვეყნდეს იმავე ინტერნეტ-გვერდზე, სადაც აღნიშნული შემთხვევა აღწერილი. ინფორმაციის მოწოდებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ არა მხოლოდ ფოსტით წერილის გამოგზავნა, არამედ აგრეთვე კომენტირება www.momxmarebeli.ge ვებ-გვერდზე ან შესაბამის ფეისბუქის გვერდზე, ან ზარი მომხმარებლის ცხელ ხაზზე (219-42-42), სადაც ყველა ზარი აღირიცხება და ყველა საუბარი იწერება.

პატივისცემით,

ლია თოდუა 

პროექტის დირექტორი